№ 07-1/34
13 06 2024
3 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 30 მაისს მიღებულ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე.

ორგანული კანონით განისაზღვრება, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის, საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე ან ტექნიკური პერსონალის წევრის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობამ ან/და შრომის ანაზღაურებამ არ შეიძლება მის საზიანოდ მოახდინოს გავლენა მის რეგისტრაციაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისთვის სოციალური დახმარების, სოციალური გასაცემლის ან/და სახელმწიფო გასაცემლის მიცემაზე, მასზე სოციალური შეღავათის გავრცელებაზე ან/და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ან/და ასეთი პროგრამის ქვეპროგრამაში მის მონაწილეობაზე.

ორგანული კანონით უქმდება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იქმნება საარჩევნო პერიოდით, არჩევნების დანიშვნიდან 10 დღის ვადაში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილების შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლს ემატება 4^1 პუნქტი, რომლის თანახმად, „თუ ცესკომ თავის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღო ის გადაწყვეტილება,

რომლის მისაღებად ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერაა საჭირო, ცესკოს ამ გადაწყვეტილებას იმავე სხდომაზე კენჭი ხელახლა ეყრება. ამ შემთხვევაში ცესკოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.“

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებებით, საარჩევნო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, „ცესკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, თუკი ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ცესკოს დადგენილებას ხელს აწერენ ცესკოს შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და ცესკოს მდივანი. ცესკოს დადგენილება ძალაში შედის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე დადგენილებით უფრო გვიანი ვადა არ არის განსაზღვრული. აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრის დღემდე ბოლო 4 დღის განმავლობაში. ცესკოს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მიღების მომენტიდან. ცესკოს დადგენილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში ცესკოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.“.

განმარტებითი ბარათის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრება ე.წ. ანტიჩიხური მექანიზმი იმ შემთხვევის მოსაწესრიგებლად, როდესაც ცესკოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ იქნა მიღებული ცესკოს ის გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად საჭიროა ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ცესკოს ეფექტიან ფუნქციონირებასა და მისი საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილებას.

წარმოდგენილი ცვლილებებით, იმ გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც საჭიროებს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერას, სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე მცირდება ცესკოში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა, რის შედეგადაც,

ფაქტობრივად, უქმდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარტიებს შორის კონსენსუსის საჭიროება და მნიშვნელოვნად უარესდება ოპოზიციური პარტიების მონაწილეობის საკითხი.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო შედგება არა უმეტეს 17 წევრისაგან. მათ შორის არიან ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე და ცესკოს მდივანი. ცესკოს თავმჯდომარეს და ცესკოს 7 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი ან ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ცესკოს არა უმეტეს 9 წევრს ნიშნავენ პარტიები.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიას უფლება აქვს დანიშნოს ცესკოს 1 წევრი. რაც შეეხება თავმჯდომარეს და 7, ე.წ. არაპარტიულ/პროფესიულ წევრს, მათ, საარჩევნო კოდექსსა და პარლამენტის რეგლამენტში პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ირჩევს პარლამენტი, ფაქტობრივად, ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერის პირობებში, რაც, თავის მხრივ, მმართველ პარტიას შესაძლებლობას აძლევს ერთპარტიულად აირჩიოს ცესკოს თავმჯდომარე და აღნიშნული 7 წევრი. როგორც ვენეციის კომისიის, ეუთო/ODIHR-ის დასკვნაში და პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებშია აღნიშნული, იმ პირობებში, როცა არ არსებობს მოთხოვნა კვალიფიციური უმრავლესობით თავმჯდომარის კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით, ეს არსებითად ნიშნავს, რომ თავმჯდომარე მმართველ პარტიას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. პროფესიულ წევრებთან დაკავშირებით, რომელთა არჩევის პროცედურაც მსგავსია.

2/3-იანი კვორუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე დაწევის პირობებში შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება ცესკოს თავმჯდომარის, ე.წ. 7 პროფესიული წევრისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლის მხარდაჭერა. შედეგად, ამ ცვლილებებით, ფაქტობრივად, დგინდება, რომ გადაწყვეტილებები შესაძლებელია მიღებულ იქნეს პარტიებს შორის ყოველგვარი კონსენსუსის გარეშე.

კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი ქმნის კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გარემოებაა ცესკოს, საარჩევნო პროცესების, ზოგადად, ჩატარებული თუ ჩასატარებელი არჩევნების მიმართ ნდობის თვალსაზრისით.

კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საჭიროება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. გააუქმო კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ შესაძლებელია ვერ შედგეს შეთანხმება ცესკოს წევრებს შორის, გაუმართლებელია და ვერ იქნება გაზიარებული.

აღსანიშნავია, რომ ცესკოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომელიც საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოიცემა და არაერთ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებს. მათ შორის, ცესკოს დადგენილებით განისაზღვრება 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესები და პირობები, კენჭისყრის პროცედურები, არჩევნების გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი. დადგენილებით აგრეთვე მტკიცდება საარჩევნო კომისიის რეგლამენტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ცესკოს დაკომპლექტების (7 ე.წ. პროფესიული წევრი, თავმჯდომარე და პარტიების მიერ დანიშნული 9 წევრი) არსებული წესის მიზანი იყო ის, რომ მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობა არ ჰქონოდა, შემადგენლობა ყოფილიყო დაბალანსებული, გადაწყვეტილებების მიღება დაფუძნებულიყო კონსენსუსზე, რათა გაზრდილიყო ცესკოს მიმართ ნდობა.

ვენეციის კომისია და ODIHR ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საარჩევნო პროცედურების სამართლიანობა, სამართლიანობის აღქმა, და ბოლოს, თავად არჩევნების სამართლიანობა მეტწილად დამოკიდებულია არჩევნების მართვის ორგანოებსა და მათდამი, კერძოდ, საარჩევნო კომისიებისა და ცენტრალური

საარჩევნო კომისიისადმი საზოგადოების ნდობაზე. ამიტომ, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უმაღლესი დონე უნდა იყოს მიღწეული ამ ორგანოების შემადგენლობაშიც და მუშაობაშიც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო პარტნიორების და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ფართო, სისტემური გადახედვა განხორციელდეს არჩევნებამდე საკმაო ხნით ადრე (იხ., ვენეციის კომისიისა და ეუთოს/ODIHR-ის დასკვნა CDL-AD(2023)047), ინკლუზიური კონსულტაციების პროცესზე დაყრდნობით და არა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მით უფრო, როდესაც უარესდება საკანონმდებლო რეგულირება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მიღებულ იქნა დაჩქარებული წესით, სათანადო განხილვისა და პროცესში მონაწილე სუბიექტებს შორის კონსენსუსის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ცხრა ნაბიჯიდან ერთ-ერთი უკავშირდება საარჩევნო საკითხებს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესი, განსაკუთრებით, 2024 წელს და სრულად გაითვალისწინოს ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციები.

მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესი. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები გამოიწვევს საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის ხარისხის შემცირებას, მნიშვნელოვნად უარესდება ოპოზიციური პარტიების ჩართულობის საკითხი და არ უზრუნველყოფს კონსენსუსზე დამყარებულ პოლიტიკურ პროცესს, რაც გადამწყვეტია ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის, ისე როგორც ამ ინსტიტუტის

მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდისათვის. აღსანიშნავია ასევე საარჩევნო კოდექსში უკვე განხორციელებული ცვლილებები, რის შედეგადაც გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის იმ მოადგილის თანამდებობა, რომელზეც პირი ცესკოს პარტიული წევრებისაგან ოპოზიციის კვოტით ინიშნებოდა.

რაც შეეხება საკონსულტაციო ჯგუფის გაუქმებას, აღნიშნული ჯგუფი შედგება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ექსპერტებისაგან. საკონსულტაციო ჯგუფი ცესკოს წარუდგენს რეკომენდაციებს დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით. ამ ჯგუფს ცესკოს დადგენილებით შეიძლება მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, კერძოდ, კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე დაკვირვება. აღნიშნული ფუნქციები საარჩევნო პროცესისადმი ნდობისა და ამავე პროცესის მაღალი სტანდარტით ჩატარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი მექანიზმია. ამდენად, მიუღებელია აღნიშნული ჯგუფის გაუქმების თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ, მე-14 მუხლის „ნ[2]“ ქვეპუნქტი, 16[1] მუხლი, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 203[7] მუხლი შენარჩუნდეს მოქმედი რედაქციით, მე-8 მუხლს არ დაემატოს 4[1] პუნქტი, ხოლო მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს პარლამენტის მიერ მიღებული რედაქციის მიხედვით.

სალომე ზურაბიშვილი

N4067
13.06.2024